თამაზ ბერაძე

შრომების კრებული

სამ ტომად

ტომი I

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2018

თამაზ ბერაძის შრომების სრული კრებული, სამ ტომად, ეძღვნება მკვლევრის დაბადებიდან 80 წლის თავს. გამოცემის მიზანია, თამაზ ბერაძის მეცნიერული მემკვიდრეობა ხელმისაწვდომი გახდეს ისტორიკოსებისა და, ზოგადად, საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

შრომების კრებულის I და II ტომში წარმოდგენილია სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში, თუ კრებულებში გამოქვეყნებული სტატიების, კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებების სრული ვერსიები, თეზისები თუ მოკლე შინაარსები. ასევე საენციკლოპედიო სტატიები. კრებულის III ტომი კი ეძღვნება თამაზ ბერაძის გამოუქვეყნებელ შრომებს.

სტატიები და კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები თუ მათი თეზისები დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ხოლო საენციკლოპედიო სტატიები ანბანური პრინციპით.

განახლებულ პუბლიკაციებში, მათი გამოსაცემად მომზადებისას, ჩასწორდა მხოლოდ ბიბლიოგრაფიის დამოწმების ავტორისეული სტილი (უნივერსიტეტი იყენებს APA - სტილს) - პუბლიკაციების სქოლიოში დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის ანოტირებული ვერსიები განთავსდა საკუთრივ ტექსტში, რაც შეეხება სრულ დასახელებებს, ისინი გატანილ იქნა კრებულის ბოლოს, ბიბლიოგრაფიისათვის განკუთვნილ ნაწილში. სქოლიოში, დარჩა მხოლოდ ავტორისეული განმარტებები და მითითებები. თითოეულ ტომს დაერთო პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი.

თამაზ ბერაძის შრომების სამტომეულის გამოცემის მომზადებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ინიციატივით გაერთიანებულ თამაზ ბერაძის კოლეგებსა და მოწაფეებს: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს მანანა სანაძეს, თამარ ქორიძეს, ბეჟან ხორავას; დოქტორანტებს: ქეთევან ქიმერიძეს, მარიამ თოდუას, თამარ ლეკიაშვილს, მანანა წერეთელს, რომლებმაც შეკრიბეს მეცნიერის სხვადასხვა გამოცემებში გაფანტული, უკლებლივ ყველა, სამეცნიერო ნაშრომი, ასევე მის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი შრომები და მოამზადეს გამოსაცემად.

კრებულის I ტომში მოთავსებულია 1962-2002 წლებში თ. ბერაძის მიერ გამოქვეყნებული შრომები.

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2018
ყველა საავტორო უფლება დაცულია.
დაბეჭდილია საქართველოში.

სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი:
ანდღულაძე ჯულიეტა
სამეცნიერო რედაქტორები:
სანაძე მანანა
ქორიძე თამარ
რედაქტორი:
ჟღენტი მარინა
კომპიუტერული უზრუნველყოფა:
სუარიძე ნინო
დვალიშვილი ნათია

ISBN: 978-99940-50-66-6
საქართველოს უნივერსიტეტი
კოსტავას 77ა
თბილისი, საქართველო 0171
2 55 22 22
info@ug.edu.ge; ug@ug.edu.ge

წინასიტყვაობა

დიდი ქართველი ისტორიკოსი თამაზ ბერაძე წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, ქრონოლოგიის, დიპლომატიის ისტორიის, ნუმიზმატიკისა და წყაროთმცოდნეობის საკითხებზე. მისი კვლევის ძირითადი ობიექტი შუა საუკუნეები იყო, თუმცა მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლაშიც.

თამაზ ბერაძე უაღრესად ერუდირებული, დაკვირვებული და კეთილსინდისიერი მეცნიერი გახლდათ. ის შესანიშნავად ფლობდა საქართველოს ისტორიის წყაროებსა თუ ისტორიოგრაფიას, მაგრამ, ამასთანავე, დიდი პრაქტიკოსი ისტორიკოსიც იყო - ის ხომ სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილ არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ-გეოგრაფიულ სამეცნიერო ექსპედიციებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (სამეგრელო, აფზახეთი, რაჭა, შავშეთ-კლარჯეთი) ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის შესწავლაში, ასევე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეების, სამეფო-სამთავროებისა თუ საქართველოს ერთიანი მონარქიის ისტორიულ-გეოგრაფიული რუკების შედგენაში.

საყურადღებოა, რომ ბატონმა თამაზმა არა მხოლოდ შეისწავლა ქართული ზღვაოსნობისა და საზღვაო ვაჭრობის ისტორია, არამედ აღადგინა ძველი ქართული საზღვაოსნო ტერმინოლოგიაც. ის, ასევე, წარმატებით იკვლევდა ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების საქართველოსა და შავიზღვისპირეთის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს.

თამაზ ბერაძე არა მარტო დიდი მეცნიერი და მკვლევარი იყო, არამედ ის გამორჩეული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწეც გახლდათ. ის სხვადასხვა ისტორიულ დისციპლინაში კითხულობდა ლექციებს (როგორც ზოგად, ისე სპეციალურ კურსებს), უშურველად გასცემდა ცოდნას. თამაზ ბერაძე ყოველთვის მზად იყო, დახმარებოდა მასთან თხოვნით მისულ სტუდენტებსა და ახალგაზრდა ისტორიკოსებს. ხშირად მას დახმარების თხოვნით, ან რჩევისათვის მიმართავდნენ არა მარტო როგორც პროფესიონალ ისტორიკოსს, არამედ როგორც უფროს მეგობარს, ან უბრალოდ, როგორც კეთილგანწყობილ ადამიანს. ისიც არავის ეუბნებოდა უარს და ამას მთელი მონდომებით, ხალისითა და დიდი გულისხმიერებით აკეთებდა. ამიტომ იყო, რომ ის მუდამ გარშემორტყმული გახლდათ ცოდნის გაღრმავების მსურველი ახალგაზრდებით.

კითხვას, თუ რატომ უთმობდა ამდენ დროს ახალგაზრდებს და რატომ გასცემდა ასე უანგაროდ თავის ცოდნას, თამაზ ბერაძე ასე პასუხობდა: ახალგაზრდობაში ბედი მწყალობდა, ყოველთვის კეთილი და გულისხმიერი ადამიანებით ვიყავი გარშემორტყმული. როგორ გადამეხადა მათთვის ეს სიკეთე?

გადავწყვიტე, მეც იგივე გამეკეთებინა სხვებისათვის - მათ მიერ ჩემს განსწავლაზე დახარჯული დრო მე სხვების განსწავლაზე დამეხარჯა, ჩემი ცოდნა და გამოცდილება ყველასთვის გამეზიარებინა, ვინც დახმარების თხოვნით მომმართავდა. ამასვე ურჩევდა ის თავის მოწაფეებს, როდესაც ისინი მისთვის მადლობის სათქმელად მიდიოდნენ ხოლმე.

თამაზ ბერაძე იყო უდიდესი პატრიოტი, ეწეოდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, თუმცა არასდროს ჩანდა ე.წ. „წინა ხაზის“ პოლიტიკოსებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ავტორიტეტით, პრინციპულობით, კაცთმოყვარეობით, ჰუმანურობითა და უაღესად თანამედროვე მსოფლმხედველობით გზის გამკვალავი იყო იმ პოლიტიკურ ორომტრიალში, რომელშიც საქართველო XX-XXI საუკუნების მიჯნაზე აღმოჩნდა.

დიდმა მკვლევარმა საქართველოს დაუტოვა უდიდესი სიმდიდრე - მის მიერ აღზრდილი, ისტორიკოსად ჩამოყალიბებული ათეულობით ადამიანი და ფასდაუდებელი მეცნიერული მემკვიდრეობა.

სარჩევი

ნაკვეთი I. პერიოდულ სამეცნიერო კრებულებში გამოქვეყნებული ნაშრომები....1
ოცინდალეს ძეგლი....3
ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან....6
ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან....22
XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა....76
იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები....83
ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები....96
ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით....117
რაჭის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში....124
„გაგარი“ და „უღაღის“ განმარტებისათვის....129
დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი გეოგრაფიული ადგილის ლოკალიზაციისათვის....131
რაჭა ფეოდალურ ხანაში (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა)....133
ლეჩხუმის ისტორიული გეოგრაფიიდან (ვახუშტი ბაგრატიონი ლეჩხუმის შესახებ)....158
სასოფლო თემი იმერეთის სამეფოში....171
Отчет о работе Вардцихской археологической экпедиции (LIV-LV)....175
ხეფინის ხევი გვიანფეოდალურ ხანაში....178
ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან....186
მცირე შენიშვნა (მ. გაბაშვილის ნაშრომის გამო) (როდის ჩნდება ქართულ წერილობით წყაროებში გეოგრაფიული სახელი „შავი ზღვა“)....205
ზღვაოსნობა ძველ საქართველოში....207
Об Археологических разведках и раскопках в зоне строительства Варцихских ГЭС....220
დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან....226
საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან XIII-XVსს....241
იმერეთის სამეფოს მთიანეთის სოციალური განვითარების საკითხისათვის...258
ტყვეთა სყიდვა ფეოდალურ საქართველოში....265

საზღვაო ვაჭრობის ორგანიზაცია შუა საუკუნეების საქართველოში.....275
„მეგრელი“, „სამეგრელო“, „ოდიში“.....289
ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთისა და ჯიქეთის შესახებ.....293
კავკასიის უძველესი პოლიტიკურ-გეოგრაფიული აღწერილობა და მისი შედგენის დრო.....302
ბიოგეოგარემო და ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევი. ისტორიული გეოგრაფიიდან.....312
ეგრის-კოლხეთიდან ოდიშამდე. ეგრისი ძველი და ახალი ერის მიჯნაზე.....316
ეგრის-კოლხეთიდან ოდიშამდე. ახალი ეგრისის (ლაზიკეს) სამეფო.....324
ეგრის-კოლხეთიდან ოდიშამდე. ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა“) სამეფო.....352
ოდიშის საერისთავო. ოდიშის საერისთავო ერთიან მონარქიაში.....354
ოდიშის საერისთავო. ოდიშის საერისთავო XV-XVI სს.....379
ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში.
XVII ს. მიწურულიდან XVIII ს. დამდეგამდე.....404
ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში.
სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.....428
მთავარ დადიანთა ქრონოლოგია.....445
Этнополитические процессы на территории современной Абхазии
в XV-XVIII вв.....447
1995 წლის საუკეთესო შოტლანდიური წიგნი საქართველოსა
და ქართველებზე.....457
ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური სია.....468
The political map of Caucasia of 7th – 8th cc. according to an ancient Georgian geographical work….....485
ქართლის სამეფოს წარმოშობა უძველესი ქართული საისტორიო თხზულებების მიხედვით….....490
საქართველო შავი ზღვისპირეთის უძველესი ქვეყანაა….....503
გამოყენებული ლიტერატურა.....509
საძიებელი….....530
ბიოგრაფია.....571

ნაკვეთი I

პერიოდულ
სამეცნიერო კრებულებში
გამოქვეყნებული ნაშრომები

ოცინდალეს ძეგლი*

საქართველო მდიდარი ისტორიული წარსულის ქვეყანაა. წინაპართა მიერ აგებული ხელოვნების ძეგლები მრავლად მოიპოვება მის ტერიტორიაზე და ისინი მნახველს ქართველი ხალხის გმირულ თავგადასავალს მოუთხრობენ. ამ ძეგლთა უმეტესი ნაწილი შესწავლილი და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, ზოგიერთი მათგანი კი ერთგვარად „დაჩაგრულა“ - მათ მეცნიერული შესწავლა და მოვლა-პატრონობა აკლიათ. ამგვარ მდგომარეობაშია ოცინდალეს წმიდა გიორგის ეკლესია.

ოცინდალეს წმიდა გიორგის ეკლესია დგას ჩხოროწყუს რაიონში, სამეგრელოს ქედის სამხრეთ კალთაზე, სოფელ ოცინდალეში. იგი აგებულია მაღალ ადგილას და საკმაოდ დაშორებული სოფლებიდანაც მოჩანს.

ოცინდალეს წმიდა გიორგის ეკლესია წარმოადგენს დარბაზული ტიპის ერთნავიან ნაგებობას. ზომები ასეთია: სიმაღლე - 9 მ., სიგრძე - 10 მ., სიგანე - 5 მ. ეკლესიას ეტყობა შემდეგი მინაშენების კვალი. იგი მოპირკეთებულია ტუფის ქვით. ოცინდალეს წმიდა გიორგის ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: დასავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის მხრიდან. უკანასკნელი მინაშენში გადის. აქვს ოთხი სარკმელი: ერთი აღმოსავლეთის, ორი სამხრეთის და ერთიც დასავლეთის მხრიდან, რომელიც ლამაზი ორნამენტებით არის შემკული.

ოცინდალეს წმიდა გიორგის ეკლესია არცერთ ძველ წყაროსა თუ საბუთში მოხსენიებული არ არის. არ იხსენიებენ მას არც სამეგრელოში ნამყოფი უცხოელი მოგზაურები. თუმცა, არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ სამეგრელოს რუკაზე, სოფელ მუხურის გვერდით, ეკლესია არის აღნიშნული. აქ ოცინდალეს ეკლესია უნდა იგულისხმებოდეს: მუხურში არ არის ძველი ეკლესია, ხოლო ოცინდალეს ეკლესია მისგან ორი კილომეტრით თუ იქნება დაშორებული. ამასვე გულისხმობდა ალბათ ივ. ჯავახიშვილი, როცა მის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიულ რუკაზე მუხურთან ეკლესიას აღნიშნავდა.

რაიმე მეცნიერული გამოკვლევა ოცინდალეს წმიდა გიორგის ეკლესიაზე არ გამოქვეყნებულა. კულტურის, ძეგლთა დაცვის და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს გამოქვეყნებულ წიგნში „საქართველოს კულტურის ძეგლები აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე“, ეს ძეგლი დათარიღებულია XIV საუკუნით. ეკლესია მოხატული იყო ფრესკებით, რომლებიც დათარიღებული იყო XIV-XV საუკუნეებით. უკანასკნელ წლებში ეს ფრესკები ჩამოირეცხა და ახლა მათი კვალი თუ შეინიშნება.

---

* სტატია პირველად გამოქვეყნდა: ოცინდალეს ძეგლი. (1962). *საბჭოთა ხელოვნება. 3.* გვ. 72-73. თბილისი. საბჭოთა საქართველო.

ოცინდალეს წმიდა გიორგის ეკლესია კულტურის, ძეგლთა დაცვის და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს გატარებული აქვს, როგორც ოწინდალე. ჩვენი აზრით, ეს სახელწოდება არ არის სწორი და გაუგებრადაა წარმოშობილი, და აი, რატომ:

უპირველეს ყოვლისა, იმ სოფელს, სადაც ეს ეკლესია დგას, ოცინდალე ეწოდება. ახლომახლო სოფლების მოსახლეობა ამ ეკლესიას ყველგან ოცინდალეს უწოდებს. ასევე მოიხსენიებს ამ ეკლესიას მღვდელი თოდუა, რომელმაც 1887 წ. გაზეთ „მწყემსში“ მასზე წერილი მოათავსა.

არსებობს რამდენიმე გადმოცემა, რომელიც ამ სახელის ახსნის ცდას წარმოადგენს.

პირველი ვერსიის თანახმად, ჩვენმა ეკლესიამ თავისი სახელი ცირდავების გვარისგან მიიღო. ოცირდავე-ოცინდალე.

უფრო საინტერესოა მეორე ვერსია: ყოველ 25 ნოემბერს ოცინდალეს ეკლესიის ეზოში იმართებოდა დღეობა. ეს დღეობა ახლაც იმართება, მაგრამ რადგანაც ოცინდალეს ეკლესია მაღალ მთაზე დგას, ამიტომ დღეობა მთის ძირში, სოფელ თაიაში იმართება ამჟამად. ეს დღეობა ვაჭრობისათვისაც გამოიყენებოდა. ახლაც შიძლება მის დროს სვანური ქუდებისა და ნაბდების ყიდვა. დღეობაზე თავს იყრიდა დიდძალი ხალხი. ძველად ამ დროს ხდებოდა დასაქორწინებელი ქალ-ვაჟის ურთიერთგაცნობა, ახალგაზრდა გოგოების დანიშვნა. ამიტომ, აქ გაცნობით, გათხოვილი ქალი ვალდებული იყო დღეობაზე მოსულიყო, შესაწირავი მოეტანა და თავისი ქმარიც მოეყვანა თან. ამიტომ დღეობა ერთგვარად სიძეების შეკრებად იქცეოდა. აქედან მიიღო ეკლესიამაც თავისი სახელიც: სიძე- მეგრულად სინჯაა, ზოგიერთ ვარიანტში - სინდა - ისინდალე - ოცინდალე.

თვით ეს დღეობა თავისთავად მეტად საინტერესო ფაქტია. ძნელი სათქმელია, რამდენად შეესაბამება ეკლესიის სახელის ამგვარი ახსნა სინამდვილეს, მაგრამ ერთი ფაქტია - ეკლესიას ოცინდალე ჰქვია და არა ოწინდალე და ის მხოლოდ ამ სახელით უნდა მოიხსენიებოდეს.

ეკლესიის ეზოში წარწერიანი ქვა იყო. ზემოთ მოხსენებული მღვდელი თოდუა მას ასე კითხულობს: „ეკლესია განვაახლე მე ღვთისმოსავმა თამარმა დედოფალმა“. საეჭვოა წარწერა ამგვარი შინაარსის ყოფილიყო, მაგრამ ეს ქვა ამჟამად დაკარგულია და ამიტომ მასზე ჩვენ ვერაფერს ვიტყვით.

ოცინდალეს წმიდა გიორგის ეკლესიაში თავის დროზე ძვირფასი ნივთები და ხატი იყო. ეს ხატი შემდეგ სოფელ თაიას ეკლესიაში ჩაიტანეს. ყველა ნივთი ამჟამად დაკარგულია და მათ მხატვრულ თუ ისტორიულ ღირსებაზე არაფრის თქმა არ შეიძლება.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია ოცინდალეს წმიდა გიორგის ეკლესიის კარი. ეს ქართული ხელოვნების მეტად საინტერესო ძეგლია. ნიკო ჩუბინაშვილს ეს კარი დათარიღებული აქვს II საუკუნით. ეტყობა, იგი ოცინდალეში სხა ეკლესიიდან მოხვდა. ამ მხრივ საინტერესოა ის, რომ ოცინდალეს ეკლესიის მეზობელ სერს ნაოხვამუ - ნაეკლესიარი ეწოდება.

ოცინდალეს წმიდა გიორგის ეკლესიის გვერდით დგას კოშკი. კულტურის ძეგლთა დაცვის და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს თავის ზემოთ მოხსენიებულ წიგნში ეს ძეგლი დათარიღებული აქვს XIV-XV საუკუნეებით. კოშკის შიგნით ძველად მრავლად ეყარა და ნაწილობრივ ახლაც ყრია ადამიანის ძვლები. ადგილობრივი მოსახლეობა ძვლის წარმოშობას შემდეგნაირად ხსნის: ძველად, ახლომახლო სოფლებს, მიცვალებული, აუცილებლად, ოცინდალეს ეკლესიის ეზოში უნდა დაემარხათ. ეზო პატარაა და ამიტომ, ხშირად, საფლავის თხრის დროს ადამიანის ძვლები ამოდიოდა, რომელსაც კოშკში ყრიდნენ. XX საუკუნის დასაწყისში ძვლების უმეტესობა ხელახლა დაუმარხავთ.

ამ კოშკს, როგორც ჩანს, ძირითადად ოცინდალეს ეკლესიის დაცვის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, რადგან მუდმივი არეულობის დროს, რაც ასე ხშირი იყო გვიანი შუა საუკუნეების სამეგრელოში, სამეგრელოს ეკლესიების ძვირფასეულობის ნაწილი იქ ინახებოდა. უკანასკნელად, ყირიმის ომის დროს, როდესაც სამეგრელოში თურქთა ჯარი შემოიჭრა, სამეგრელოს ეკლესიების მთელი განძეულობა ოცინდალეს ეკლესიაში ინახებოდა.

ოცინდალეს წმიდა გიორგის ეკლესია ქართული კულტურის საინტერესო ძეგლია. მას მოვლა-პატრონობა ესაჭიროება. მართალია, ეს ძეგლი აღრიცხვაზეა აყვანილი, მაგრამ ეს ფაქტი თავისთავად არაფერს ნიშნავს. ეკლესია ინგრევა. ფრესკები, რომლებიც ოციოდე წლის წინათ კარგად იყო შენახული, ფაქტობრივად ჩამორეცხილია. ეკლესიას სჭირდება თუნუქის სახურავი. საჭიროა დაუყოვნებლივი ზომების მიღება, თორემ ქართული კულტურის ეს ძეგლი საბოლოოდ დაიღუპება.

ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან*

ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის დროს ენგურის ხეობაში, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ლაპიდარულმა წარწერამ, რომელიც ამოკვეთილია ჯეგეთის წმინდა გიორგის ეკლესიის დასავლეთის კარის არქიტრავის ქვაზე. (ეს ქვა ამჟამად ზუგდიდის მუზეუმში ინახება).

ქარაგმების გახსნით ეს წარწერა ასე იკითხება: ,,აჰა ესერა ზედამხედველმან და გამგებელმან ყოველთამან წყალობა მისი რისხვად შესცვალა და მოავლინ(ა) ძრვა საშინელი სრულიად ერთს წელიწადსა. დაიქცა საყდარი ცაიშისა და ესეც, და მრავალნ(ი) საყდარნი და შენობანი. ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხე(უ)ლმან ცაიშელ-ჯუმათელ მამამთავარმან გურიელის შვილმან პატრონმან მალაქია მივყავი ჴელი აღშენებად საყდარსა ამას და (ა)ღვაშენეთ ბრძანებით(ა) დადიანისა, პატრონისა გიორგისასა და მეაბჯ(რეთ) (უ)ხუცესობასა მერაბ და კაცია... ამინ“ (ზაქარაია, 1947, გვ. 83).

როგორც ვხედავთ, წარწერა თავისთავად მეტად საინტერესოა. აქ მოხსენიებულია რამდენიმე ისტორიული პირი, რომელთაგან ამ წერილში ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ გიორგი ლიპარტიანზე. ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა რეალურ შინაარსს შეიცავს სახელი ლიპარტიანი, რა მიმართებაში იმყოფება ამ გვარისა და ტიტულის მატარებელი პიროვნება ცნობილ ერთეულ სალიპარტიანოსთან. ასევე შევეცდებით დავადგინოთ სალიპარტიანოს საზღვრები.

დღემდე ჩვენთვის ცნობილ ლიპარტიანებს შორის უძველესად თოფურიძეთა სასისხლო სიგელში მოწმეებს შორის მოხსენებული ,,შამადავლა ლიპარტიანი“ უნდა ჩაითვალოს. ეს სიგელი, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, XV საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი: ,,რა თქმა უნდა, რომ ჩვენს სიგელში მოხსენებული შამადავლა უძველესად უნდა ჩაითვალოს აქამდე ცნობილ ლიპარტიანთა შორის. ჩვენის მოსაზრებით, ეს შამადავლა შვილი უნდა იყოს იმ ლიპარიტ პირველისა, რომელიც დადიანად დასვა ალექსანდრე მეფემ. ხსენებულ ლიპარიტს მართლა ჰყავდა შვილი სახელად შამადავლე. ეს უკანასკნელი, მამის სიკვდილის შემდეგ, 1470 წელს, დადიანად დაჯდა და 1474 წელს მიიცვალა. დადიანები ცდილობდნენ, რომ სალიპარტიანო იმათ ახლობელ ნათესავთ სჭეროდათ. ამას მოითხოვდა მათი ინტერესი და პოლიტიკა. ლიპარიტ პირველისათვის საჭირო იყო, რომ სალიპარტიანო სჭეროდა მის შვილს შამადავლეს და ამას ადვილად მოახერხებდა. ისიც შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ თვით ლიპარიტ პირველი გამგე და ბა-

---

*სტატია პირველად გამოქვეყნდა: ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან. (1964). *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. II.* გვ. 115-130. თბილისი. მეცნიერება.

ტონი ყოფილიყო სალიპარტიანოსი დადიანობის დაჭერამდე და მისგან მომდინარეობს ლიპარტიანად სახელწოდება სალიპარტიანოს ბატონებისა“ (თაყაიშვილი, 1891, გვ. 213).

როგორც ცნობილია, სასისხლო სიგელები საიმედო საბუთად ვერ გამოდგება, რაც შამადავლე ლიპარტიანის რეალობის მტკიცებას აძნელებს. აქ საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებაზე, რომელსაც ლიპარტიანობა სამეგრელოს მთავრის სახელთან - ლიპარიტთან ჰგონია დაკავშირებული.

ვახუშტი ბატონიშვილი ლიპარტიანს პირველად 1568 წლის ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს, სახელის აღუნიშნავად: ,,ამისთვის მოიმწო ვახტანგის ძის ძემ ხოსრომ დადიანი და ამან იშველა ჭილაძე ვარაზა ლიპარტიანი ოდიშით ესენი ყოველნი ღალატად დაესხნენ გიორგი მეფესა, არამედ ილტვოდნენ იგინივე ქს. ჩფიზ, ქრ. სნვ“ (ვახუშტი, 1913, გვ. 291).

სამეგრელოს ისტორიისათვის ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს ცაიშის ცნობილი გულანი. თ. ჟორდანიას აზრით, ეს გულანი გადაწერილია 1525 წლის ახლო ხანებში. რამდენად სწორია მეცნიერის ეს მოსაზრება, ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში, მინაწერში გადამწერად ცნობილი მანა ლიპარტიანის ასული უფრო გვიანი ხანის მოღვაწე უნდა იყოს და აი, რატომ: როგორც თედო ჟორდანია აღნიშნავს, მას ხელთ ჰქონია ლოცვანი, რომლის გადამწერი, აგრეთვე, მანა ლიპარტიანის ქალი ყოფილა.

გადამწერს მოხსენებული ჰყოლია სამეგრელოს მთავარი გიორგი დადიანი, რომელიც მთავრად იყო 1572-1581 წლებში, თუ თ. ჟორდანიას მიერ მოწოდებული ეს ცნობა სწორია (ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს, რომ არ დავუჯეროთ მას), მაშინ მანა ლიპარტიანი XVI ს. 70-იანი წლების მოღვაწე ყოფილა. აი, ერთ-ერთი მინაწერი: ,, აღიწერა წ˜ჲ ესე გულანი სახლსა სისკირია პაატისასა, ბრძანებითა ღ˜ისთა გულსმოდგინეობითა და ჴელის წყობითა ლიპარტიანის ქალის მანიასითაჲ და ამას წელსა მიიცვალა“ (თაყაიშვილი, 1913-1914, გვ. 189).

როგორც დავინახეთ, მანა ლიპარტიანის ასული XVI ს. 70-იანი წლების მოღვაწე იყო. ის ამ დროისათვის, ბუნებრივია, ხანში შესული უნდა ყოფილიყო (ის ხომ გულანის გადაწერის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც) დაახლოებით ორმოცი წლისა მაინც იქნებოდა. მამა მისი ჩვენთვის უცნობი ლიპარტიანი, სულ მცირე, ოცი წლით მაინც უნდა ყოფილიყო ქალიშვილზე უფროსი. ამიტომ ის XVI ს. 20-იან წლებში უნდა მივიჩნიოთ დაბადებულად. ადვილი შესაძლებელია ეს ლიპარტიანი და ვახუშტის მიერ მოხსენებული ლიპარტიანი ერთი და იგივე პიროვნება იყოს.

ამრიგად, XVI ს. I ნახევარში ლიპარტიანის არსებობა ეჭვს გარეშეა.

პირველი ლიპარტიანი, რომელიც კარგად არის ცნობილი ისტორიაში, არის ჩვენი წარწერის გიორგი ლიპარტიანი. ცნობილია, რომ იგი სამეგრელოს სამთავროს ფაქტობრივ გამგებელს წარმოადგენდა ლევან - II დადიანის მცირეწლოვნების დროს. მრავალრიცხოვანი ცნობები მის შესახებ ერთხმად ასახელებენ

მას ლევან დადიანის ბიძად. ასე რომ, საკითხი თითქოს ნათელია, მაგრამ არსებობს ერთი მომენტი, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს. მხედველობაში გვაქვს ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული ობჩის ეკლესიის წარწერები.

ს.კაკაბაძის გადმოცემით, ეს ეკლესია აშენებული ყოფილა ხობის წმინდა გიორგის სახელზე და ადგილობრივი მოსახლეობა მას ხობის წმინდა გიორგის ეკლესიას ეძახის. ეკლესიაში დაცული ყოფილა წარწერები: ,,მეფეთა მეფისა გიორგის შემწეობით აღვაშენე ესე მონასტერი ჩ˜ნ ˜ჰ˜ ატ (რმნ) ლიპარტიანმან გიორგიმ და მეუღლემან ჩემმან ამილახორის ასულმან თაჯიმ“. ქორონიკონი არა აქვს. ეკლესიის სამხ. კედელზე შემდეგი წარწერებია დაცული: ,,I. ეკლესიისა აღმშენებელსა გიორგი ლიპარტიანსა შეუნდოს ღმერთმან“. ,,მეუღლესსა მისსა თაჯი ყოფილსა შეუნდოს ღმერთმან; ძე მათი ვამეყი“ (კაკაბაძე, 1929, გვ. 109).

ს.კაკაბაძის აზრით, ეს ეკლესია გიორგი იმერთა მეფის დროს 1565-1583 წწ. უნდა იყოს აშენებული, ხოლო აქ მოხსენებული ვამეყი და გიორგი ლიპარტიანები ოდიშის ლიპარტიანების წინაპრები უნდა იყვნენ. სამეგრელოს სამთავროს ისტორიაში კარგად ცნობილი გიორგი ლიპარტიანი ამ ვამეყის შვილი უნდა იყოს. ლიპარტიანთა გვარის გადასახლება სამეგრელოში უნდა მომხდარიყო 1680 წლის ახლო ხანებში, იმერეთის სამეფოში არეულობის დროს. ს.კაკაბაძის აზრით, ჩვენთვის ცნობილი გიორგი ლიპარტიანი ლევან დადიანის ბიძად იხსენიება, როგორც მისი მამიდის ქმარი, რადგან მას დადიანის ქალი ჰყავდა ცოლად.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ გიორგი ლიპარტიანს მართლა ჰყავდა ერთ-ერთ ცოლად დადიანის ქალი ანა. ცაიშის გულანის ერთ მინაწერში ვკითხულობთ: ,,ადიდნეს ღ˜ნ ორთავე შინა ცხოვრებასა ლიპარიტიანი ბატონი გ˜ი, თანა მეცხედრე მათი ბატონის დადიანის ასული ანა, ძე მათი ვამეყ გაზარდე ღო˜ა˜ნ“ (თაყაიშვილი, 1913-1914, გვ. 191).

ეს თავისთავად ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ გიორგი ლიპარტიანი ლევან მეორე დადიანის ბიძაა. ჩვენ ანგარიში რომ არ გავუწიოთ მრავალ ცნობას, მაინც რჩება ერთი საბუთი, რომელიც ამ მოსაზრებას უეჭველს ხდის.

წალენჯიხის ეკლესიაში, ლევან დადიანის ეკვდერის ერთი ფრესკის გვერდით შემდეგი წარწერაა დაცული: ,,ლიპარტიანი ბატონი გიორგი, ძმა ჴელმწიფისა მანუჩარისა, ბიძა დიდისა ჴელმწიფისა ბატონისა ლევანისა დადიანისა და ძე დიდისა ჴელმწიფისა ბატონისა მამია დადიანისა“ (თაყაიშვილი, 1913-1914, გვ. 218).

როგორც ვხედავთ, ამ წარწერაში ამომწურავად არის მოცემული გიორგი ლიპარტიანის წარმომავლობა. ეჭვს გარეშეა, რომ იგი ლევან დადიანის მკვიდრი ბიძაა. ის ფაქტი, რომ მას ცოლად ჰყავდა დადიანის ქალი შემდეგნაირად უნდა აიხსნას: დადიანთა გვარეულობაში მთავარი ხაზის გარდა გვერდითი შტოც იქნებოდა და მისი შთამომავალი უნდა ყოფილიყო გიორგი ლიპარტიანის ცოლი ანა.

ადვილად შეიძლება გადაიჭრას ობჩის წარწერების გიორგი ლიპარტიანისა და ლევან II დადიანის ბიძის საკითხი. წარწერა ამ უკანასკნელს ეხება. ამ წარწერაში მოხსენიებული გიორგი მეფე, ის მეფეა, რომელსაც ტახტი ეპყრა 1604-1639 წლებში.

ამავე დროს დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ გიორგი ლიპარტიანს ჰყოლია სამი ცოლი: დადიანის ასული ანა, ამილახვრის ასული თაჯი და ჭილაძის ასული ნესტან-დარეჯანი.

ხოლო ის ფაქტი, რომ გიორგი ლიპარტიანი ობჩაში ეკლესიას აშენებს ხობის წმინდა გიორგის სახელზე, ჩვენი აზრით, შემდეგნაირად იხსნება: ეს სოფელი თაჯი ამილახვარის მზითვი უნდა ყოფილიყო და ამდენად მიუწვდებოდა ხელი მასზე გიორგი ლიპარტიანს.

როგორც ვხედავთ, გიორგი ლიპარტიანი ლევან დადიანის ბიძაა და სამეგრელოს მთავრის - მამია დადიანის შვილი, ის მემკვიდრეობით ლიპარტიანი კი არ არის, არამედ დადიანი. ამავე დროს, იგი პირველი ლიპარტიანი არ უნდა იყოს. როგორც ზემოთ დავინახეთ, ლიპარტიანი სამეგრელოს სამთავროს სინამდვილეში XVI ს. 50-იანი წლებიდან დასტურდება. ,,აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარის“ ერთ მინაწერში, სადაც გიორგი ლიპარტიანის მიერ შეწირულ მამულზეა ლაპარაკი (ამ პუნქტზე ქვემოთ გვექნება საუბარი) ვკითხულობთ: ,,იმ ადგილს ძველი ლიპარტიანებისგანაცა ქონდა ხატსა შეწირული კაცები“ (კაკაბაძე, 1925, გვ. 191). როგორც ვხედავთ, ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ ლევან დადიანის ბიძას რამდენიმე ლიპარტიანი მაინც უსწრებდა წინ. ამიტომ, XVI ს. დასაწყისიდან მაინც ლიპარტიანები, ეჭვს გარეშე, არიან ოდიშის სამთვროში.

ჩვენი აზრით, XVII საუკუნის დასაწყისში ლიპარტიანობა გვარის გამომხატველი ცნება არ უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მამია დადიანის შვილი გიორგი, ლიპარტიანი ვერ იქნებოდა.

როგორც ცნობილია, გიორგი ლიპარტიანი წარმოადგენდა სამეგრელოს სამთავროს ფაქტობრივ გამგებელს ლევან II დადიანის მცირეწლოვანების დროს. სიკვდილამდე იგი სამთავროში მეორე პირს წარმოადგენდა და ხშირად მთავრის მიერ გაცემულ საბუთს ისიც აწერდა ხელს; ჩვენ ამის არაერთი ფაქტი მოგვეპოვება. მისი განსაკუთრებული მდგომარეობა ოდიშის სამთავრო კარზე იურიდიულადაც უნდა ყოფილიყო გაფორმებული. წარმოშობის გარდა, გიორგი ლიპარტიანს შესაბამისი ტიტულიც უნდა ჰქონოდა და სწორედ სამეგრელოს მთავრის უმაღლესი მოხელის ტიტულს წარმოადგენდა იმ დროისათვის ლიპარტიანობა. ცაიშის დიდი ჯვარცმის ხატზე შემდეგი წარწერა მოიპოვება: ,,მოიჭედა და შეიმკო ხატი ესე ბატონობასა მანუჩარის ძისა ბატონისა ლევანისსა და ლიპარტიანობასა ბატონისა ბიძისა მისისა ბატონის გიორგისა. ღმერთმა ადიდნეს ორთავე შინა ცხორებათა“ (თაყაიშვილი, 1913-1914, გვ. 166)

როგორც ვხედავთ, წარწერა მეტად საინტერესოა. გამოთქმა, რომ ხატი მოჭედილია ლევან II ბიძის ლ ი პ ა რ ტ ი ა ნ ო ბ ი ს დროს, მიგვითითებს იმაზე,

რომ ლ ი პ ა რ ტ ი ა ნ ო ბ ა ამ დროისათვის გარკვეულ მოხელეობასთან იყო დაკავშირებული. ვერც ერთ ქართულ საბუთში ვერ ვნახეთ ფეოდალური გვარის ამგვარი ფორმით ხმარების ფაქტი. ჩვენი ისტორიული საბუთებისათვის უცნობია გამოთქმა: ბარათაშვილობასა ან აბაშიძეობასა და ა. შ. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენს წარწერაში ლ ი პ ა რ ტ ი ა ნ ო ბ ა მოხელის ტიტულს გამოხატავს და არა გვარს.

საკითხის გადასაჭრელად საჭიროა თვით სახელების ს ა ლ ი პ ა რ ტ ი ა ნ ო ს და ლ ი პ ა რ ტ ი ა ნ ი ს წარმოშობა იქნეს განხილული.

გეოგრაფიულ სახელ ს ა-ლ ი პ ა რ ტ ი ა ნ ო -შ ი, ს ა- ა დ გ ი ლ თ ა სახელის მწარმოებელ პრეფიქსს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ,,მრავლადაა ს ა პრეფიქსიანი წარმოებაც, როგორც აღმ. სამეგრელოში (ყოფილი სენაკის მაზრა). ისე დას. სამეგრელოში (ყოფ. ზუგდიდის მაზრა, გალის რაიონი). ყველგან ამოსავალი გვარია, რომლითაც დასახლებული იყო სოფელი“ (ჩიქობავა, 1942, გვ. 196).

ჩვენ შემთხვევაში გვარის დახმარებით ნაწარმოებია არა სოფლის, არამედ მთელი ფეოდალური ერთეულის სახელი. ამ პრეფიქსის ამგვარი ხმარება ჩვეულებრივია საერთოდ საქართველოსათვის და კერძოდ სამეგრელოსთვისაც. სა-პრეფიქსითაა ნაწარმოები ისეთი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა: სამურზაყანო, სა-ჩიქვანო და ა. შ.

კვლევის საგანს თვით სახელი ლ ი პ ა რ ტ -ი ა ნ -ი წარმოადგენს. ცნობილია, რომ ი ა ნ სუფიქსის ამოსავალს ა ნ წარმოადგენს. მის მნიშვნელობათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა პირველი, - კრებითი. ,,ამ მნიშვნელობის გამოხატვაში ჩვენ ვხედავთ სუფიქსის პირვანდელსა და უძველეს ფუნქციას. ეს მნიშვნელობა ფორმანტისა ნათლად არის წარმოდგენილი ქართველურ გვარ-სახელებში, რომელთაც სათანადო დაბოლოება მოეპოვებათ. გვარ-სახელების ეს დაბოლოება, თავდაპირველად, გავრცელებული იყო, ჩანს, ყველა ქართველ ტომში, და ქართველურს პატრინომისტიკურ მორფოლოგიაში იგი ერთი ყველაზე ადრინდელი მოვლენათაგანია. დროთა ვითარებაში ეს ფორმა ზოგს ქართველ ტომში დასუსტდა, ზოგან თითქმის მთლად დაიკარგა. ყველაზე კარგად ამჟამად იგი სვანეთშია დაცული“ (ჯანაშია, 1959, გვ. 35). მეგრულმა ენამ ეს ფორმანტი ი ა -ს სახით შემოინახა. ,,მეგრ. ი ა - ი ა ნ-ის ნაშთია. ეს ცხადი ხდება,კერძოდ ცნობილ გვარსახელთა ისტორიულ (და მასთან ერთად, ლიტერატურულ) და ცოცხალ ფორმათა შედარებით. ამრიგად, ისტორიულსა და ლიტერატურულ დადიანს, ლიპარტიანს, ბედიანს, მეგრულ ცოცხალ მეტყველებაში უდრის: დადია, ლიპარტია, რატია, ბედია“ (ჯანაშია, 1959, გვ. 40).

ეს ვრცელი ექსკურსი დაგვჭირდა იმისათვის, რომ გვეჩვენებინა რა გზა განვლო ა ნ - სუფიქსმა და მისმა ერთ-ერთმა ფორმამ ი ა ნ. როგორც დავინახეთ, ამჟამად გვარის წარმოების ეს ფორმა მხოლოდ სვანეთშია შემორჩენილი, ხოლო მეგრულ გვართა ი ა დაბოლოება წარმოადგენს ამ სუფიქსის ნაშთს. მხოლოდ რამდენიმე გვარი შემორჩა მეგრულში ი ა ნ ი და მათაც, ხალხურ მეტყველებაში,